სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 45

2017 წლის 5 მაისი

ქ. თბილისი

2017 წლის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“ გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

"საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტის“ (CNRS PICS) დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 3 სექტემბრის N113/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის მარიამ ქებურიას 2017 წლის 5 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N473203) შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“.
2. დამტკიცდეს 2017 წლის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“ პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1 - ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს 2017 წლის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის

ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის საპროექტო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

4. დამტკიცდეს 2017 წლის საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თეა მჟავანაძეს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი 1
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 5 მაისი N45 ბრძანებით

საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტის" (CNRS PICS) პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი" (The International Scientific Cooperation Project – PICS) ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მიზანია:

ა) მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება – გაფართოება და ქართველ მეცნიერთა კვლევების დონის ამაღლება;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიური ჩართვა და ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

2. ეს დებულება აწესრიგებს გრანტის მისაღებად კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და საგრანტო პროექტების (შემდგომში – პროექტი) შესრულების მონიტორინგის წესს.

3. კონკურსი ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 3 სექტემბრის №113/ნ ბრძანებისა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ფონდი და CNRS. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

ა) პირველი ეტაპი – პროექტების შეფასება CNRS-ის მიერ;

ბ) მეორე ეტაპი – CNRS-ის მიერ დამტკიცებული ერთობლივი პროექტების, შეფასება ფონდის მიერ.

2. CNRS უზრუნველყოფს:

ა) CNRS-ის ექსპერტთა შეფასების შედეგებზე დაყრდნობით პროექტების დამტკიცებას;

ბ) პროექტის მონაწილე ფრანგ მეცნიერთა ჯგუფის დაფინანსებას.

გ) ფონდისათვის ინფორმაციის მიწოდებას ერთობლივი პროექტების დამტკიცების შესახებ.

3. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის წესების, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების, საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხისა და ფორმების და შესაბამის ფორმებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის საჯაროობას;

ბ) კონკურსის პროგრამის და პირობების და ანგარიშის ფორმების მომზადება/დამტკიცებას;

გ) CNRS-ის ინფორმირებას კონკურსისთვის რეგისტრირებული პროექტის შესახებ;

დ) CNRS-ის მიერ დამტკიცებული, ერთობლივი პროექტების შეფასებას ფონდის მიერ შერჩეული, დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკოპლექტებული საკონკურსო კომისიის მიერ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ერთობლივი პროექტების თანადაფინანსების შესახებ;

ე) დამტკიცებული ერთობლივი პროექტის მონაწილე საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის დაფინანსებას.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში ერთობლივი პროექტის წარდგენა ხდება მეცნიერთა ორი ჯგუფის მიერ. ერთი ჯგუფი უნდა შედგებოდეს CNRS-ში ან მასთან ასოცირებულ ორგანიზაციებში/ლაბორატორიებში მომუშავე ფრანგი მკვლევარებისგან, ხოლო მეორე წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებიდან/უნივერსიტეტებიდან. კონკურსის მთავარი პირობაა მონაწილე ფრანგ და საქართველოს მეცნიერთა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება, მინიმუმ ერთი გამოქვეყნებული ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციის არსებობა.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მეცნიერთა ჯგუფს, რომელიც ჩართულია ერთობლივ კვლევებში CNRS-ში ან მასთან ასოცირებულ ორგანიზაციებში/ლაბორატორიებში მომუშავე ფრანგ კოლეგებთან და გამოქვეყნებული აქვთ ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაცია(ები).

3. პროექტში მონაწილე საქართველოს და ფრანგ მეცნიერთა ჯგუფებს ჰყავთ შესაბამისი სამეცნიერო ხელმძღვანელები.

4. პროექტის მიხედვით დაგეგმილი კვლევის საქართველოში განსახორციელებელი ნაწილი სრულდება საბაზო ორგანიზაციაში.

5. საქართველოს მხრიდან პროექტში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სულ მცირე ერთი ახალგაზრდა მეცნიერის – დოქტორის მონაწილეობა (დოქტორის აკადემიური ხარისხი დაცული უნდა ჰქონდეს კონკურსის გამოცხადებიდან ბოლო შვიდი წლის პერიოდში).

6. CNRS PICS – ის კონკურსის ფარგლებში უპირატესობა ენიჭება 45 წლამდე ასაკის მეცნიერთა ჯგუფებს.

მუხლი 4. საკონკურსო პროექტების ფორმატი

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 36 თვე.

2. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ევროს ეკვივალენტს ლარებში.

3. ფონდის მხრიდან პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება

საგრანტო ანგარიშებზე. ტრანშების მოცულობა იგეგმება საანგარიშო პერიოდში პროექტში განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით.

4. გრანტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი კატეგორიებისთვის: პარტნიორ ქვეყანაში მივლინება (სამოგზაურო ხარჯი), სემინარების და სამუშაო შეხვედრების ჩატარების ხარჯი, კვლევასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი. „სხვა ხარჯის" კატეგორიაში მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 50% -ს.

5. ფონდის მხრიდან პირველი ტრანში, ავანსის სახით, გაიცემა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. მომდევნო ტრანში – წინა ტრანშით გათვალისწინებული შედეგების შესრულების შესახებ ფონდში წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე. ბოლო ტრანშის 10% გაიცემა პროექტის საბოლოო ანგარიშგებისა და ფონდის მხრიდან დადებითი დასკვნის აქტის (ფინანსური და პროგრამული მონიტორინგის ანგარიშების) გაცემის შემდგომ.

მუხლი 5. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების ფონდში წარდგენა ელექტრონული სახით კომპაქტდისკზე (CD-R), კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებასთან ერთად;

გ) შემოსული პროექტების წინასწარი შერჩევა კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

დ) CNRS-ის მიერ დამტკიცებული ერთობლივი პროექტების სიის მოწოდების შემდეგ პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მეშვეობით;

ე) ფონდის საკონკურსო კომისიის რანჟირებული სიის გათვალისწინებით CNRS-ის მიერ დამტკიცებული ერთობლივი პროექტების მონაწილე საქართველოს მეცნიერთა ჯგუფების ფონდის მიერ თანადაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ვ) დასაფინანსებლად შერჩეული ერთობლივი პროექტების საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის წევრებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1.პროექტის საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელი ფონდში წარადგენს ერთობლივ საპროექტო განაცხადს, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ფრანგ და საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელების მიერ.

2. ფონდში ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს "პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება" .

3. ფონდის კანცელარიაში დოკუმენტაციის წარდგენა ხდება ელექტრონული სახით კომპაქტდისკზე (CD-R).

4. **ფონდში დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია 2017 წლის 15 ივნისის 17:00 საათამდე. მითითებული ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.**

5. CNRS-ში ერთობლივი საპროექტო განაცხადის წარდგენა ხდება ფრანგ მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ, CNRS-ის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის საშუალებით.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. პროექტის შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად. შეფასების პირველ ეტაპზე პროექტებს აფასებს CNRS შესაბამისი დარგობრივი ინსტიტუტის დახმარებით.

2. შეფასების მეორე ეტაპზე ფონდის გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია აფასებს CNRS-ის მიერ გამარჯვებულად გამოვლენილ ერთობლივ პროექტებს, გამოავლენს გამარჯვებულს და იღებს გადაწყვეტილებას ერთობლივი პროექტების თანადაფინანსების მოცულობასთან დაკავშირებით.

3. პროექტის მონაწილეთა მიერ მოთხოვნის შემთხვევაში საკუთარი პროექტის საკონკურსო კომისიის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობას უზრუნველყოფს ფონდი.

4. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, ასევე პროექტის დასრულებიდან 3 წლის მანძილზე, პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიში, დოკუმენტაცია და პროექტის შედეგები დაუქვემდებაროს დამოუკიდებელ სამეცნიერო ექსპერტიზას.

მუხლი 8. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია ფონდის საკონკურსო კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილე.

2. არ შეიძლება პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობდეს ექსპერტი:

ა) რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია პროექტის მონაწილეებთან ან მონაწილეობდა მათთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან მუშაობს ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დეპარტამენტი);

ბ) რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;

გ) რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია;

დ) რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან.

3. ამ დებულების მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

4. საკონკურსო კომისიის წევრი ვალდებულია ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს კომისიის წევრის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულება

1. CNRS-ისა და ფონდის საკონკურსო კომისიის შეფასების საფუძველზე დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებზე ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის წევრებთან.

2. პროექტის შესრულების დროს გრანტის მიმღების მიერ შექმნილ ინტელექტუალურ და შეძენილ მატერიალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.

3. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ ყოველი საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 20 დღით ადრე წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის 10%-ის ფარგლებში.

მუხლი 10. საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის (12 თვე) ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. პროგრამული მონიტორინგი ხორციელდება საქართველოდან პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ანგარიშის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ფონდმა შეიძლება მოითხოვოს ინფორმაცია წერილობითი სახით პროექტის მონაწილე საფრანგეთის ჯგუფის ხელმძღვანელისგან.

4. გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდთან ანგარიშგება აწარმოოს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

5. პროექტში მონაწილე საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის ფონდის მხრიდან თანადაფინანსების შეჩერება ან/და შეწყვეტა ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად.

6. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში პროექტის ფარგლებში ფონდის დაფინანსებით შეძენილი ქონება გადაეცემა ფონდს საკუთრებაში.

7. საგრანტო პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ საგრანტო პროექტის ფარგლებში ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე, პროექტის დახურვის მომენტში

წარმოდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

დანართი 2
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 5 მაისი N45 ბრძანებით

PROJECT FOR INTERNATIONAL SCIENTIFIC COOPERATION (PICS)

Please see attachment for the program description

Call for proposals 2017

APPLICATION FORM

I – PROJECT TITLE
in French
in English

Duration of the project (maximum 3 years):

II- PROJECT COORDINATORS

a) In France
Coordinator's last and first name:
Title and/or position:
Telephone n.:
Email address:

CNRS Research Structure:
Director:
Address:
Telephone n.:
Fax n.:
Email address:

b) In the country of the partner
Coordinator's last and first name:
Title and/or position:

Partner Research Structure name:
Director:
Address:
Telephone n.:
Fax n.:
Email address:
Home organization:
Address:

III– PROJECT PARTICIPANTS IN THE COORDINATORS' RESEARCH STRUCTURE/LABORATORY

a) In France

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

b) In the partner country

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

IV– POTENTIAL PROJECT PARTICIPANTS FROM OTHER RESEARCH STRUCUTRES/LABORATORIES

a) From other laboratories in France

Research Structure:
Director:
Address:
Telephone n.:
Fax n.:
Email address:

Participants:
Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:
Email address:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:
Email address:

b) In a second partner country

Laboratory/Research Structure name:
Director:
Address:
Telephone n.:
Fax n.:
Email address:
Home organization:
Address:

Participants:
Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

Last and first name:
Title and/or position:
Full-time-equivalent in the project:

V- SCIENTIFIC PROGRAM
jointly drafted by both project coordinators

Project summary (*in less than 10 lines)* specifying the distribution of research activities amongst the laboratories involved in the project (in French and English):

Detailed description of the research project (3 to 5 supplementary pages, *as annex 1*), specifying:

1. the position of the research topic in both national and international contexts, the project goals, possible connections
2. with other scientific disciplines or applications (technological or otherwise),
3. why this cooperation is necessary to accomplish the project goals, any work already carried out jointly (cite publications, theses, patents, etc.),
4. the work plan and its timeline,
5. partnerships and external sources of funding already secured for the topic of the PICS,
6. if appropriate, the component of the project involving training of students.

PROJECT BUDGET

FUNDING, REQUESTED FOR THE PICS (in thousands of Euros), supplemental to the amounts specified above (Financial Information)

Provide an estimate of projected expenditures.

Append a one-page "Appendix 2" specifying the names of researchers travelling or being hosted, length of visits, and nature of "other expenditure" in the framework of the project.

In France (provided by the CNRS)	Request Year One	Estimate Year Two	Estimate Year Three	Total
Travel in the partner laboratory(ies)				
Hosting (under condition of reciprocity)				
Seminar organization				
Other expenditure (specify in *Appendix 2*) within 20% of the total budget				
Total				

In Partner country	Request Year One	Estimate Year Two	Estimate Year Three	Total
Travel to France				
Hosting (under condition of reciprocity)				
Seminar organization				
Other expenditure				
Total				

In second partner country	Request Year One	Estimate Year Two	Estimate Year Three	Total
Travel				
Hosting (under conditions of reciprocity)				
Seminar organization				
Other expenditure				
Total				

OPINION OF THE RESEARCH STRUCTURE/LABORATORY DIRECTORS ON THE PROJECT

Detailed opinion of the Partner coordinator's research structure/laboratory director on the scientific program, the funds available and the supplementary funds requested:

Place and date: ……., on ……
Signature

First name, last name:

დანართი 3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 5 მაისი N45 ბრძანებით

პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირებისა და საბაზო ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით **საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) პროგრამაში „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“ (PICS)** ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერის პირობებს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას აღნიშნულ პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ **ჩვენ მიერ ფონდში ელექტრონული სახით კომპაქტდისკზე (CD-R) წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია** და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთან, საბაზო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ვადასტურებ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. ვაცნობიერებთ, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.
გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი.

1. პროექტის სახელწოდება:
2. პროექტის საერთო ბიუჯეტი (ევროში):
მათ შორის:
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევროში): _____

3. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები): _____

4. ინფორმაცია პროექტის წარმდგენზე საფრანგეთის მხრიდან:
- ორგანიზაცია:
- ხელმძღვანელი:

5. პროექტის წარმომდგენნი (საქართველოს მხრიდან):
ა)

საბაზო ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

ბეჭედი:

ბ)

	პროექტში მონაწილე საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის წევრები (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.		სამეცნიერო ხელმძღვანელი	
2.			
3.			